ვახტანგ ნანიტაშვილი
რადიოჟურნალისტი, პროდიუსერი

რადიოს ფორმულა

საკვანძო სიტყვები: რადიო, პუბლიცისტიკა, ფორმატი, მონტაჟი, მედიათავისუფლება, რადიოგენურობა

ინფორმაციაზე განსაკუთრებული მოთხოვნა არ ნიშნავს, რომ რადიოს პროგრამებში სიტყვას სხვა დანიშნულება არ უნდა ჰქონდეს. ისეთ ტრადიციულ რადიოს, როგორიც საქართველოს, ამჟამად კი საზოგადოებრივი რადიოა, სადაც მხატვრულ და პუბლიცისტურ სიტყვას ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა, არ უნდა შეუზღუდო ის პრიორიტეტი, რომელიც მან ათეულობით წლის განმავლობაში დაიმკვიდრა. მართალია, რადიო მუდმივი განახლების რეჟიმით უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ ფორმატი, რომლითაც ის მაუწყებლობს, არ უნდა შეიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიკარგება წლების განმავლობაში შეძენილი აუდიტორია. ახალი აუდიტორიის შეკრებას კი დიდი დრო სჭირდება.

საკითხი სხვაგვარადაც შეიძლება დაისვას: რამდენად საინტერესოა ის, რაც კეთდება? რამდენად ასახავს ჩვენი საზოგადოების ყველა ფენის განწყობას (თუმცა, ამის მიღწევა დღეს ერთი რადიოს მეშვეობით უკვე შეუძლებელია. იმით, რაც აინტერესებს 50 წლის ადამიანს, ვერ მიიზიდავ 20 წლისას).

კარგ რადიოს მარტივი ფორმულა აქვს: როცა ჩართავ, გამორთვა აღარ უნდა მოგინდეს. დრომ დროს გაუს-

BRAMS Journal No. 9 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

წრო და თუ დროის შესაბამისად არ გამართე შენი საქ-მიანობა, მისი დაწევა შეუძლებელი გახდება.

1990-იანი წლების დასაწყისში ასეთ თემებზე მსჯე-ლობა ნაადრევიც იყო. უფრო ინტუიციას ვენდეთ, ვიდრე რადიოს კანონებს, რომლებიც, მართალია, გეხმარება, თუმცა გბოჭავს კიდეც. კანონი დოგმატური არ უნდა იყოს. გადავწყვიტეთ, სულიერებაზე საუბრით, წარსულის მოხმობით, ოპტიმისტური ხედვით გაგვეჯერებინა პროგ-რამები. იძულებით „შეჩვეული“, შეკვეთილი თემებისაგან კოლეგები გათავისუფლდნენ. მათ აღარავინ აძალებდა, ყალბი თემებისათვის მიემართათ. ამან კი საკმაო ეფექტი მოგვცა. დღეს რომ ასე მწვავედ დგას სარედაქიო თავი-სუფლების საკითხი და ბი-ბი-სის კანონმდებლობაში ამას მნიშვნელოვან ადგილს მიუჩენენ, ჩვენ, პრაქტიკულად, მა-შინ გადავდგით ეს ნაბიჯი. გრძელ და მოსაწყენ საუბ-რებს თანამედროვე რადიოსთვის საუკეთესო ფორმა, თოქ-შოუ ცვლის, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს მსმენელი. ბრწყინვალედ მუშაობდა „თანაგრძნობის რადი-ოარხი“, რომელსაც მედეა გეგეშიძე უძღვებოდა. იგი საო-ცარ განწყობას ქმნიდა ეთერში, რადიოს გამომსახველი საშუალებების სრულ პალიტრას იყენებდა. პოულობდა შესანიშნავ რესპონდენტებს. ინტონაციური სიმართლით აჯერებდა მსმენელს, დააფიქრებდა მას და, რაც მთავა-რია, სიკეთესა და თანაგრძნობას უღვივებდა. ქალბატონი მედეა საოცრად მოწესრიგებული ადამიანი ბრძანდებოდა. მან ეს გადაცემები სრულად შემოგვინახა როგორც ნა-ბეჭდი ტექსტების, ასევე აუდიო ჩანაწერების სახით. ისი-ნი საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდშია“ დაცული. ჩანს, ამ გადაცემის წიგნად აკინძვა სურდა, მაგრამ ვერ მოასწრო. ვფიქრობ, მედეა გეგეშიძის შემოქმედება ცალკე შესწავლის საგანია. ვინც ამ თემას მოკიდებს ხელს,

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბევრ საინტერესოს იპოვის.

გამორჩეულ ინტერესს იწვევდა მსმენელებში ლამარა კიკილაშვილის მოღვაწეობა. ეს ქალბატონი რადიოსთვის იყო დაბადებული, თუმცა მისი შემოქმედება ტელეეკრანზეც ჩანდა, პუბლიკაციები კი ხშირად იბეჭდებოდა პერიოდულ პრესაში. ცალკე, მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. და მაინც, ყველაზე სრულყოფილად ქალბატონი ლამარას ნიჭი რადიოში წარმოჩნდა. ათეული წლების განმავლობაში მან არაერთი უნიკალური ჩანაწერი შესძინა „ოქროს ფონდს“. ოთხი ათეული წლის განმავლობაში, თითქმის, არ დარჩენილა ქართული კულტურის მოღვაწე, რომელზეც ქალბატონ ლამარას გადაცემა არ მოემზიდებინოს.

1992 წლიდან იგი იყო ავტორი გადაცემისა „სახსოვარი“, რომელშიც ახლებურად გაიელვა მისმა ნიჭმა. მისი 35-წუთიანი დიალოგები აკაკი ბაქრაძესთან, ჭაბუა ამირეჯიბთან, მურმან ლებანიძესთან, ძმებ ჭილაძეებთან, არჩილ სულაკაურსა და სხვა საზოგადო მოღვაწეებთან უამრავ მსმენელს იზიდავდა. ეს გადაცემები დღესაც აქტუალურია, ხვალაც და მომავალშიც საინტერესო იქნება. რა თქმა უნდა, ქალბატონი ლამარა რესპონდენტებს მხოლოდ ნახევარსაათიანი დიალოგისთვის არ იწვევდა. შეხვედრების ქრონომეტრაჟი გაცილებით დიდი იყო, მაგრამ რადიოგენურობის ერთ-ერთი „კანონი“ ითხოვს, რომ რაც უნდა კარგი მასალა გქონდეს, მსმენელს გული უნდა დაწყვიტო, გადაცემის გაგრძელების სურვილი გაუჩინო. თუკი მსმენელი ფიქრობს, კარგია, მაგრამ დავიღალეო, ეს ცუდია. გარდა ამისა, „სახსოვარი“ კარგად იყო გაფორმებული მუსიკალურად, ილუსტრირებული და ა.შ. კომპონენტებით, რომლებიც აუცილებელია რადიოგადაცემის მოსამზადებლად. დღეს უამრავ ახლადგახსნილ რადიოში,

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თვით საქართველოს რადიოშიც კი, ამას ყურადღებას აღარ აქცევენ. შევლენ სტუდიაში ავტორი და რესპონდენტი და „ჭიმავენ“ ერთსაათიან გადაცემას (ლაშა ბუღაძე, დათო ტურაშვილი). მათ ზემოხსენებული ავტორების გადაცემები რომ მოესმინათ, თავად 20-25 წუთზე მეტს არ დატოვებდნენ. რატომ? ნიჭიერი რეპორტიორიც კი, ზეპირი მეტყველების დროს ერთ აზრს სხვადასხვა ინტერპრეტაციით იმეორებს. როცა ამას ჩანაწერში უსმენ, ხვდები და უამრავ ზედმეტ ფრაზასა თუ გამონათქვამს შეელევი. ამით მასალა უფრო კომპაქტური და იოლადაღსაქმელი ხდება. მონტაჟს ჯადოსნური ძალა აქვს. თუ მას არ იყენებ, გადაცემის ხარისხი მნიშვნელოვნად ეცემა.

1990-იან წლებში ლია ძიძიგურის „გალერეაც“ მშვენივრად უბამდა მხარს საერთო მიზანს – ისეთი გადაცემები მოემზადებინა, რომ მსმენელი არ მოწყვეტილიყო რადიოს. ფანტაზიამ და მაძიებელმა ბუნებამ ქალბატონ ლიას მსმენელთან ურთიერთობის საკუთარი სტილი მოაძებნინა, სადაც გამოჩნდა ლაკონიური, ჭარბსიტყვიანობის გარეშე, რესპონდენტის ოსტატურად გახსნის უნარი. თანაც როგორი რესპონდეტების: ნინო რამიშვილის, ბესიკ ხარანაულის, თინათინ ყაუხჩიშვილის და ა.შ. რადიოში ჭკვიანური სიტყვა ყოველთვის უნდა ისმოდეს, ჭკვიანურს კი სწორედ ქალბატონ ლიას რესპონდენტები ამბობდნენ.

ქალბატონმა ლიამ ჯერ კიდევ 1980-იან წლებში დაამკვიდრა რადიოსათვის სრულიად ახალი ჟანრი „კინოფილმი უეკრანოდ“. ამ ექსპერიმენტმა რადიოს კინო არ დააკარგვინა. დღეს თუ ხალხში ასე პოპულარულია ციტატები საყვარელი ფილმებიდან, ეს ქალბატონი ლიას დამსახურებაცაა.

რადიოს ძველი გვარდიის წარმომადგენელთაგან აღსანიშნავია ნოდარ ბეთანიშვილისა და თამილა კახიძის

BRAMS Journal No. 9 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

აქტიური თანამშრომლობა. ნოდარ ბეთანიშვილმა ეკონომიკური მიმოხილვების სტატუსით აქტიურად იმუშავა პრივატიზაციის პრობლემებზე. ჟურნალისტისთვის აუცილებელი კომპონენტებითა და გასაგები ენით ესაუბრებოდა მსმენელს ამ რთულ თემაზე. მისი გამოსვლები ზოგჯერ მწვავე და კრიტიკულიც იყო.

ქართული სპორტის ერთ-ერთი მემატიანე, თამილა კახიძე ძველი ხალისითა და განახლებული ენერგიით შეუდგა საქმეს. ქართული სპორტის უნიკალური საფონდო მასალების შემქმნელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა ქართველი ჟურნალისტების დაკვალიანებისა და დაოსტატების საქმეში. დღეს ქართული ტელევიზიებიდან და რადიოებიდან ისმის სპორტული კომენტატორების ხმები, რომლებმაც ქალბატონი თამილას ხელშეწყობით გადადგეს პირველი ნაბიჯები სპორტულ ჟურნალისტიკაში.

ქალაქს ჯერ კიდევ კვამლი ასდიოდა, როცა თამაზ ხმალაძემ შემოგვთავაზა პროგრამა „ენაი შემკული და კურთხეული“. ქვეცნობიერად ეს, ალბათ, იმას ნიშნავდა, რომ ორად გახლეჩილი ქვეყნის მოქალაქეებს საერთო ბევრი რამ აქვთ, უპირველესი კი – მშობლიური ენა.

მოგვიანებით მაია კრაწაშვილმა და ილია მხეიძემ წამოიწყეს გადაცემა სახელწოდებით „რეპროდუქტორი“. იგი გათვლილი იყო 40-50 წელს გადაცილებულ მსმენელზე. პირდაპირი ეთერი საშუალებას იძლეოდა თითოეული მსმენელი თანამონაწილე გამხდარიყო. მსმენელთა ნაწილი აგრესიულობას იჩენდა და უხერხულ სიტუაციას ქმნიდა ეთერში. მაიამ და ილიამ ისეთი საეთერო გარემო შექმნეს, რომ თითქმის გამორიცხეს ეს აგრესია. ძნელია აიყოლიო მსმენელი და სასურველ ეფექტს მიაღწიო. ეს ნამდვილ პროფესიონალებს ხელეწიფებათ. ფართოა „რეპ-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

როდუქტორის“ თემატური არეალი: „ბათუმის ბულვარი და გაგრის სანაპირო“, „ლაღიძის წყლები“, „თქვენი დროის რუსთაველის გამზირი“, „თბილისური ეზო“, „გულშემატკივრები კიროვის ბაღიდან“ და ა.შ. გადაცემას ყოველთვის ჰყავდა საინტერესო სტუმრები, რომლებიც წამყვანებთან ერთად ამომწურავად ხსნიდნენ თემას. მსმენელმა იცოდა, რომ გადაცემა ყველაზე დიდი პოლიტიკის – სიკეთისა და თანადგომის მატარებელი იყო.

არც ნორჩი მსმენელი დაგვიწყებია. მათ ყოველ დღე ერთი და იმავე დროს გამოყოფილი ჰქონდათ ნახევარი საათი (ამას ზოლიანი დაგეგმვა ჰქვია), მხოლოდ მათთვის განკუთვნილი. მართალია, ყველა გადაცემა ერთნაირად ძლიერი არ იყო, მაგრამ თანდათან დაიხვეწა, უფრო თანამედროვე და სასიამოვნო მოსასმენი გახდა. მშვენიერი იყო თამაში „რიკი“, რომელშიც ყმაწვილები ერთმანეთს ცოდნასა და მოხერხებულობაში ეჯიბრებოდნენ. უსახსრობის გამო, ეს ხალისიანი, შემეცნებითი გადაცემა შეწყდა.

ძალზე საინტერესო იყო და დღემდეა ლილი ჭანიშვილის მიერ მომზადებული გადაცემა „ქართლის ცხოვრება“. მასში საქართველოს ისტორიის ფრაგმენტები, დიალოგის ფორმით, ძალზე რადიოგენურადაა შემოთავაზებული.

სამწუხაროდ, პროგრამიდან ამოგვივარდა ზღაპარი ყმაწვილებისათვის „ძილისპირული“. ათეული წლების განმავლობაში პოპულარული ეს გადაცემა განახლებას მოითხოვდა. ახლებურად მისი გააზრება ვეღარ მოვახერხეთ, ძველებურად მიწოდება კი მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ.

რეფორმამდე გადაცემები მრავლად იყო სამაუწყებლო ბადეში. მათი რიცხვი 70-ს აღწევდა. ეს უკვე ქაოსია.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თუმცა, მაშინ გამუდმებული პოლიტიკური რყევების ხანაში, ძნელი იყო მსმენელთა სურვილის არგათვალისწინება.

არც ახალგაზრდული აუდიტორია დაგვიწყებია. რადგან „პიკის საათმა“ ეს მისია „დაკარგა“ და პოლიტიკური ცხოვრების მორევში გადაეშვა, მუსიკალურმა რედაქციამ შემოგვთავაზა ყოველდღიური გადაცემები 6-დან 7 საათამდე – „როკი, სმოკი და...“ დარეჯან გულიაშვილმა და სერგი გვარჯალაძემ მართლაც თანამედროვე, იმდროინდელი საქართველოს რადიოსათვის უჩვეულო მუსიკას – როკს გაუწიეს პროპაგანდა. გადაცემას შემდგომ მხოლოდ დარეჯანი უძღვებოდა. პროგრამას დიდი რეზონანსი ჰქონდა.

გადაცემას „კონცერტი 6 საათზე“ მანანა ხვედელიძე უძღვებოდა. ამ წარმატებულმა პროექტმა საკუთარი აუდიტორია გაიჩინა. კონცერტში ყველა ჟანრის საუკეთესო მუსიკა ჟღერდა. მანანას, ისევე, როგორც დარეჯანს, პროფესიულ განათლებასთან ერთად, საუკეთესო გემოვნება აღმოაჩნდა. მან მიაგნო მასალის მიწოდების საკუთარ სტილს, რის გამოც უფრო დიდი ყურადღება დაიმსახურა.

საქართველოს რადიო მაშინ ჯერ კიდევ ერთადერთი რადიო იყო ქვეყანაში. მოგვიანებით გაჩნდნენ ახალი რადიოსადგურები და ჩვენი რადიოს რეფორმა გარდაუვალი გახდა. მოსაძებნი იყო გამოსავალი. მჯერა, თუ რადიო საზოგადოებას მის ენაზე ესაუბრება, მისთვის საინტერესო და მწვავე თემებს ეხება, მსმენელის ყურადღება არ დააკლდება. მაშინ საქართველოს რადიოს, მეტწილად, სოციალურად დაუცველი მსმენელი ჰყავდა. ამიტომაც, თუ მისთვის საინტერსო თემებზე არ მომზადდებოდა გადაცემები, მოკავშირედ არ ჩაგთვლიდა. ამით იყო გამართლებული ქალაქის მერის, ვანო ზოდელავას ყოველკვი-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რეული გასვლა ეთერში, რომელსაც ილია კევლიშვილი უძღვებოდა. უამრავი წერილი და თხოვნა მოდიოდა მის სახელზე ყოველდღიურად. ამ გადაცემის მეშვეობით მრავალ ადამიანს, ოჯახს გაემართა ხელი. ყველას დაკმაყოფილება, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო. რადიოს ქმედითუნარიანობაზე საუბრისას, ინტერვიუ ქალაქის მერთან სწორედ ამ კუთხით იყო გამორჩეული.

დიდი აუდიტორია ჰყავდა ლია წიკლაურის გადაცემას „სოციალური საათი". მისი მეშვეობით ტოტალური უმუშევრობის პერიოდში მრავალმა მსმენელმა იშოვა სამსახური (შემდეგ ეს თემა ტელევიზიამაც აიტაცა). გარდა ამისა, პასუხი გაეცა უამრავ შეკითხვას პენსიების, შემწეობების, შეღავათების შესახებ.

რით შეიძლება გაეწიოს ოპონირება მოსაზრებას, საჭიროა თუ არა ჩვენში მოლაპარაკე რადიო. ბევრი თვლის, რომ ინფორმაცია და მუსიკა სრულიად საკმარისია თანამედროვე რეიტინგული რადიოს წარმატებისათვის. ხარჯიც ნაკლებია, არც ბევრი თანამშრომელი გჭირდება, ასეთი რადიო მანქანაშიც კარგად ისმინება. ეს პრაგმატული მიდგომაა. საზოგადოებრივი აზრის წარმართვაში რადიოს არც დღეს დაუკარგავს მნიშვნელობა. რატომ უნდა შევზღუდოთ ისეთი რადიო, რომელსაც დიდი ტრადიციები და პოტენციალი გააჩნია და რომელიც ბევრად გამოირჩევა სოკოებივით მომრავლებული FM ტიპის რადიოებისაგან. საქართველოში ზედმეტად უყვართ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებაზე საუბარი. ინგლისში, ამერიკასა თუ გერმანიაში დღემდე ფუნქციონირებს მოლაპარაკე რადიოები და არავის მოსდის აზრად მათი გაუქმება. გადართეთ FM საეთერო სივრცეში ტალღაზე 102.9 ანუ საქართველოს რადიოს (102.4) უახლოესი მეზობელი, ფრანგულენოვანი რადიო RFI („რადიო ფრანს ინ-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ტერნაციონალი“) მოისმინეთ და დარწმუნდებით, რომ იგი, ძირითადად, ლაპარაკობს.

ლიტერატურა ▫ References

1. 40 წელი ქართული რედაქცია რადიო თავისუფლება: 1953-1993 (1993). საიუბილეო კრებული, წინასიტყვაობის ავტორი – გულნარა ურატაძე, მიუნხენი: დავით თაბორიძის გამოცემა.
2. ბართაია ნომადი (2020). ეროვნული მოძრაობის დღიურებიდან: 1988-1993. თბილისი: „ინტელექტი“.
3. გეგეშიძე მიხა (2016). პოლიტიკური დისკოთეკა (რადიო „ამერიკის ხმის“ რეპორტაჟები). რედაქტორი – სოლომონ ნოზაძე, თბილისი: „საარი“.
4. იბერი ელდარ (2021). რადიომაუწყებლობა. მეოთხე გამოცემა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. იბერი ელდარ (2003). რადიოჟურნალისტიკა. თბილისი: „საქართველოს მაცნე“.
6. იბერი ელდარ (1996). რადიოჟურნალისტიკა: ისტორია, თეორია, პრაქტიკა. თბილისი: „ალმა მატერი“.
7. იბერი ელდარ, ტალახაძე ნანა, მჟავანაძე თეა (2009). საქართველოს რადიოს ისტორია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. რადიო და სატელევიზიო პროგრამების შექმნის ეთიკური კრიტერიუმები (2001). პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი: ფონდი „ინტერნიუსი“.
9. ტელე-რადიოჟურნალისტიკის საკითხები (1995). თსუ ტელე-რადიოჟურნალისტიკის კათედრის კრებული, ტომი 1, რედაქტორი – ნიკო ლეონიძე, თბილისი: „სამშობლოს“ სტამბა.
10. ტელე-რადიოჟურნალისტიკის საკითხები (1997). თსუ ტელე-რადიოჟურნალისტიკის კათედრის კრებული, ტომი 2, რედაქტორი – ნიკო ლეონიძე, თბილისი: „სამშობლოს“ სტამბა.
11. ტელე-რადიოჟურნალისტიკის საკითხები (1998). თსუ ტელე-რადიოჟურნალისტიკის კათედრის კრებული, ტომი 3, რედაქტორი – ნიკო ლეონიძე, თბილისი: „სამშობლოს“ სტამბა.
12. ტელე-რადიოჟურნალისტიკის საკითხები (1999). თსუ ტელე-რადიოჟურნალისტიკის კათედრის კრებული, ტომი 4, რედაქტორი – ნიკო ლეონიძე, თბილისი: „სამშობლოს“ სტამბა.
13. ტელე-რადიოჟურნალისტიკის საკითხები (2001). თსუ ტელე-რადიოჟურნალისტიკის კათედრის კრებული, ტომი 5, რედაქტორი

– ნიკო ლეონიძე, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
14. ტელე-რადიოჟურნალისტიკის საკითხები (2003), თსუ ტელე-რადიოჟურნალისტიკის კათედრის კრებული, ტომი 6, რედაქტორი – ნიკო ლეონიძე, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
15. ტელე-რადიოჟურნალისტიკის საკითხები (2005). თსუ ტელე-რადიოჟურნალისტიკის კათედრის კრებული, ტომი 7, რედაქტორი – ნიკო ლეონიძე, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
16. ტყებუჩავა დიანა (2017). ზოგიერთი ტერმინოლოგიური უზუსტობა თანამედროვე ქართულ მედიალოგიაში. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №9-10, ქუთაისი: „ინტელექტი“, გვ. 3-14.
17. ხაზის რადიო – ქართული პრესა 1918-1921 წლებში (18 მაისი, 2018). ავტორები – ნინო დათუკიშვილი და ეკა ტალახაძე, გადაცემის სტუმარი – მარი წერეთელი. https://1tv.ge/audio/khazis-radio-qartuli-presa-1918-1921-wlebshi/
18. Edwards, Bob (2004). *Edward R. Murrow and the birth of broadcast journalism*. Hoboken: Wiley.
19. Nadare, Maia (2008). *Breaking the Fourth Wall*. Tbilisi: Publishing House Universal (In Georgian).
20. Nadare, Maia (2021). *Deontology Through the International Media Law*. Tbilisi: Publishing House Universal (In Georgian).
21. Nadare, Maia (2011). *The Media and Political Image*. Caucasus International University Journalism Library, Book 2, Tbilisi: Publishing House Universal (In Georgian).
22. Nadare, Maia (2020). *The Media Mill: Political Communication*. Tbilisi: Publishing House Universal.
23. Rutland, David (2013). *Behind the Front Panel: The Design & Development of 1920's Radio*. Second Edition, A California Historical Radio Society Publication.
24. Wood, James (2000). *History of International Broadcasting*. Stevenage, England: Institution of Engineering and Technology.